

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ. ბათუმი

„---“ ----- 2018 წელი

დადგენილება N—

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის  
M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის  
ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26<sup>2</sup>-ე მუხლის შესაბამისად, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

**მუხლი 1.**

განისაზღვროს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის - 50 (ორმოცდაათი) ლარით.

**მუხლი 2.**

განისაზღვროს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასი M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის - 20 (ოცი) ლარით.

**მუხლი 3.**

ნებართვის გაცემის ფასის გადამხდელია ნებართვის მფლობელი.

**მუხლი 4.**

ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის გადახდა ხდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამის სახაზინო ანგარიშზე.

**მუხლი 5.**

ნებართვის ფასის გადახდის ვადები:

1. M2 კატეგორიის ავტობუსებისათვის - ნებართვის ფასის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, გადახდის თვის არაუგვიანეს 10 რიცხვამდე, სამარშრუტო ხაზზე დადგენილი საერთო რაოდენობის M2 კატეგორიის ავტობუსების რაოდენობაზე გადამრავლებით;

2. M3 კატეგორიის ავტობუსებისათვის - ნებართვის ფასის გადახდა ხორციელდება ყოველკვარტალურად, მომდევნო კვარტლის პირველი თვის არაუგვიანეს 15 რიცხვამდე, სამარშრუტო ხაზზე დადგენილი საერთო რაოდენობის M3 კატეგორიის ავტობუსების რაოდენობაზე გადამრავლებით.

**მუხლი 6.**

სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის ფასი განისაზღვროს 20 (ოცი) ლარის ოდენობით;

**მუხლი 7.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.